საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7084
21/11/2022

7084-21-2-202211211057

შპს „ჯორჯიან მანგანეზს“
მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქუჩა N27

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით (წერილი N7991), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი ქ. ზესტაფონში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის (ფეროშენადნობების წარმოება) მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი, ასევე დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (წერილი N13964), რასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში განხილულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის სქემა და ქარხნის მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები, ასევე ანგარიშს თან ახლავს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი, სადაც განსაზღვრულია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშსა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკში მითითებული ღონისძიებების შესრულების ვადები საჭიროებს კორექტირებას, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული შერბილების/შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი, შესაბამისი/კონკრეტული ვადებით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ 2022 წლის 16 ნოემბერის (N 10637/01) წერილით გადმოგზავნილ, შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სპეციალური მმართველის განცხადებაში, რომელიც ეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისისა და 2020 წლის 08 მაისის განჩინებების საფუძველზე 11.10.2022-11.11.2022 პერიოდისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიურ ანგარიშს, განხილულია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ანგარიშის თანახმად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეორე საამქროში ექსპლუატაციაში შევიდა ექსპერიმენტული ღუმელი, მეოთხე საამქროში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და

ქარხანაში გრძელდება არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნულიდან გამომდინარე ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშსა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკში მოცემულ ღონისძიებებთან ერთად, ქარხანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე აუცილებელია, დოკუმენტაციაში განხილული იქნეს ზემოაღნიშნული ღონისძიებები და შესაბამისად მითითებული იქნეს მათი შესრულების კონკრეტული ვადები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო